განკარგულება:**გ-63. 6324092001**
თარიღი:**01/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 აპრილის სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლისათვის, ქართველი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის, სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 მარტის Nგ-63.63240642 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./

4. სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლისათვის,

ქართველი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის, სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

6. სხვადასხვა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი